

# საარჩევნო კანონმდებლობაში 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შეფასება

2023 წლის იანვარი



**ISFED**

სამართლიანი არჩევნებისა  
და დემოკრატიის საერთაშორისო  
საზოგადოება



საქართველოს  
ანალოგზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო

# სარჩევი

I. მოკლე შეჯამება.....	3
II. შესავალი.....	5
III. კანონპროექტით გათვალისწინებული მთავარი ცვლილებები .....	7
1. არჩევნებში ელექტრონული საშუალებების დანერგვა .....	7
2. საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება.....	10
კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების კონკურსების გამიჯვნა .....	11
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა თანამდებობრივი შეუთავსებლობა .....	12
საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა.....	12
3. სხვა ცვლილებები.....	13
დისბალანსი შემაჯამებელ ოქმებში .....	13
საარჩევნო დავებისა და სხვა პროცედურების ვადები.....	15
საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე პასუხისმგებლობის გამკაცრება.....	16
გადასატანი ყუთი .....	16
პარტიების ხარჯების შეზღუდვა .....	17
მერად და საკრებულოს წევრად არჩევის ცხოვრების ცენზის შემცირება .....	17
IV. ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც არ ასახულა კანონებში.....	19
V. დასკვნა და ძირითადი რეკომენდაციები.....	22

# I. მოკლე შეჯამება

2022 წლის მარტში საქართველომ ევროკავშირის წევრობისთვის ოფიციალური განაცხადი წარადგინა, ივნისში კი ევროპულმა საბჭომ საქართველოს მთავრობას წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის 12 პირობის დაკმაყოფილება მოსთხოვა. ერთი-ერთი პირობა საარჩევნო საკითხებს ეხებოდა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს უნდა მოეგვარებინა ყველა ის პრობლემა, რაც ეუთო/ოდირის და ევროპის საბჭო/ვენეციის კომისიის მიერ იყო იდენტიფიცირებული.

ამ რეკომენდაციის შესასრულებლად საქართველოს პარლამენტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელში მონაწილეობაც საპარლამენტო ძალების ნაწილმა არ მიიღო, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა საპარლამენტო უმრავლესობამ ხელოვნურად შეზღუდა.

2022 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტები, რომლებიც საარჩევნო კოდექსსა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონებში ცვლილებებს ითვალისწინებდა. 10 ოქტომბერს კანონპროექტები პარლამენტის თავმჯდომარემ ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირს გაუგზავნა და მოსაზრებების დაჩქარებული წესით მომზადება სთხოვა.

19 დეკემბერს ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა გაგზავნილი კანონპროექტების შესახებ საკუთარი მოსაზრება გამოაქვეყნეს. პარლამენტმა ამ რეკომენდაციების საფუძველზე კანონპროექტებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, რომლებიც საბოლოოდ 22 დეკემბერს მესამე მოსმენით იქნა მიღებული.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ შეფასებით, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, როგორც ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების, ისე ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მიერ იდენტიფიცირებულ რიგ პრობლემებს პასუხობს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, ამ ცვლილებებით სრულად არ იქნა გათვალისწინებული ყველა არსებითი ხასიათის რეკომენდაცია, მათ შორის, არ აისახა იმ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი, რომელიც ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა 2022 წლის დეკემბერში წარმოადგინეს. მათი ერთობლივი შეფასებით, განხორციელებული რეფორმა საარჩევნო კოდექსის ყოვლისმომცველ ანალიზს არ ეფუძნება და მხოლოდ ცალკეულ საკითხებს შეეხება.

გარკვეული დათქმებით, დადებითად შეიძლება შეფასდეს ისეთი ცვლილებები როგორცაა: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის სავალდებულო სერტიფიცირების შემოღება; საჩივრების/სარჩევნების წარდგენისა და განხილვის ზოგიერთი ვადის გახანგრძლივება; გადასატანი ყუთით ხმის მიცემის პროცესში

ამომრჩევლის მარკირების შემოღება; პარტიების წლიური ხარჯებზე დაწესებული ზედა ზღვრის განახევრება; ადგილობრივ არჩევნებზე კანდიდატებისთვის ბინადრობის ცენზის შემცირება; ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისთვის დაწესებული ჯარიმის ოდენობის გაზრდა; პროფესიული ნიშნით ასარჩევი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა თანამდებობრივი შეუთავსებლობის საფუძვლების გაფართოება; შედეგების შემაჯამებელ ოქმში დისბალანსის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის გახსნის და ხმების გადათვლის იმპერატიული ვალდებულების გაჩენა. გარდა ამისა, ზოგადად, მისასალმებელია საარჩევნო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით რეგულაციები იყოს უფრო ცხადი და ყოვლისმომცველი და რაც შეიძლება ნაკლები საკითხი მიეკუთვნებოდეს ცესკოს დისკრეციას.

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის არსებითი ხასიათის რეკომენდაციებიდან, რომლებიც მიღებულ ცვლილებებში საერთოდ არ ასახულა, აღსანიშნავია ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევისა და უფლებამოსილების გახანგრძლივების ნაკლოვანი რეგულაციები, ასევე, პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების ჩამორთმევის შესაძლებლობა, რომელიც უსამართლოა და საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. ამასთან, არ იქნა გათვალისწინებული განმეორებადი რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება საარჩევნო კომისიების ქვედა დონეზე პროფესიული წევრების არჩევას და ამ პროცესის გამჭვირვალობას. ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა ერთობლივ დასკვნაში, ასევე, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიღებული პროექტი ვერ პასუხობდა ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებს, როგორცაა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, ამომრჩევლის დაშინება, ხმების გადათვლისა და შედეგების გაბათილებისთვის არასაკმარისი კრიტერიუმების არსებობა.

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის შეფასებით, საჭიროა სამომავლოდ განხორციელდეს ყოვლისმომცველი და ინკლუზიური საარჩევნო რეფორმა, რომელიც დაეფუძნება საარჩევნო კანონმდებლობისა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების სრულ და სიღრმისეულ ანალიზს. საარჩევნო რეფორმის დროს მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის როგორც ცალკეულ კანონპროექტებზე დაწერილი დასკვნები, ისე საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების მიერ სხვადასხვა დროს წარმოდგენილი რეკომენდაციები.

## II. შესავალი

2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროკავშირში გასაწევრიანებლად განაცხადი წარადგინა, ხოლო 11 აპრილს ქვეყანამ წევრობის კანდიდატის სტატუსის თვითშეფასების კითხვარი მიიღო. მთავრობამ შევსებული კითხვარი ბრიუსელში მაისის დასაწყისში გააგზავნა, რის საფუძველზეც, 17 ივნისს, ევროკომისიამ გამოაქვეყნა [მოსაზრება](#) საქართველოს ევროკავშირში გაწევრების განაცხადის შესახებ. ამ დოკუმენტით ევროკომისიამ შეაფასა საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი და ევროპულ საბჭოს ურჩია, რომ ქვეყნისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მხოლოდ მას შემდეგ მიენიჭებინა, რაც იგი 12 პირობას შეასრულებდა, ხოლო მათი შესრულების ხარისხს ევროკომისია შეაფასებდა. ევროპულმა საბჭომ გაითვალისწინა ევროკომისიის რჩევა, საქართველოს მხოლოდ ე.წ. „ევროპული პერსპექტივა“ მიანიჭა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის ოფიციალურ სტატუსს პირობების შესრულების შემდეგ დაჰპირდა.

2022 წლის 1 ივლისს მმართველი პარტიის - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ევროკავშირის 12 პირობის შესასრულებლად პარლამენტში სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ განაცხადა, რომელთაც წლის ბოლოსთვის პარლამენტში შესაბამისი კანონპროექტების წარმოდგენა და მიღება დაევალებოდათ. 12 პირობიდან ერთ-ერთი საარჩევნო საკითხებს ეხებოდა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს უნდა მოეგვარებინა ყველა ის პრობლემა, რაც ეუთო/ოდირის<sup>1</sup> და ევროპის საბჭო/ვენეციის კომისიის მიერ იყო იდენტიფიცირებული.

საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირების მიზნით პარლამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი<sup>2</sup> შედგებოდა საპარლამენტო პოლიტიკური ძალების წევრებისგან, ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა (ცესკო) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებისგან. თუმცა, რამდენიმე ოპოზიციურმა საპარლამენტო პარტიამ ამ პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვა. ჯგუფში მუშაობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიც გეგმავდნენ, თუმცა, მათთვის მმართველმა პარტიამ შეუსაბამო ბარიერები შექმნა. პირველ რიგში, საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თითოეულ სამუშაო ჯგუფში მხოლოდ ორი სამოქალაქო ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო დაშვებული, რომელსაც „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა“ წარმოადგენდა. ამის გამო საპარლამენტო სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის უფლება შეეზღუდათ პლატფორმის არაწევრ ორგანიზაციებს, ასევე, პლატფორმიდან ორზე მეტ მსურველს. გარდა ამისა, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფში, პლატფორმის მიერ წარდგენილი ორი სამოქალაქო ორგანიზაციიდან ერთ-ერთს - „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ („სამართლიანი არჩევნები“) სამუშაო ჯგუფში მონაწილეობაზე

<sup>1</sup> ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR)

<sup>2</sup> ჯგუფის სრული დასახელებაა – „ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის საქართველოსთვის მისანიჭებლად განსახორციელებელი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების (საქართველოს საარჩევნო კოდექსის გადასინჯვა ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის დასკვნების შესაბამისად) მომზადების მიზნით საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი.“

დისკრიმინაციულად ეთქვა უარი, რის გამოც, სოლიდარობის ნიშნად, მუშაობაში [არ ჩაერთნენ](#) სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებიც.

2022 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო სამუშაო ჯგუფის ავტორობითა და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ინიციატივით წარდგენილი [კანონპროექტი](#), რომლითაც ცვლილებები შედიოდა საარჩევნო კოდექსსა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონებში.

პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა, 10 ოქტომბერს ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირს [გაუგზავნა](#) და მოსაზრებების დაჩქარებული წესით მომზადება სთხოვა.

19 დეკემბერს ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა გაგზავნილი კანონპროექტების შესახებ საკუთარი [მოსაზრება](#) გამოაქვეყნეს, მანამდე კი დოკუმენტის არაოფიციალური ვერსია საქართველოს პარლამენტს მიაწოდეს, რათა მათი რეკომენდაციების ასახვა 2022 წელსვე ყოფილიყო შესაძლებელი.

პარლამენტმა ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების საფუძველზე კანონპროექტებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, რომლებიც საბოლოოდ 22 დეკემბერს მესამე მოსმენით იქნა [მიღებული](#).

წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს ამ პროცესის შედეგად მიღებულ ძირითად საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე, წარმოადგენს „სამართლიანი არჩევნების“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ერთობლივ შეფასებებსა და რეკომენდაციებს. გარდა ამისა, დოკუმენტი აჯამებს ამ კანონპროექტებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის ძირითად შეფასებებს, რეკომენდაციებს და მათი შესრულების საკითხს.

### III. კანონპროექტით გათვალისწინებული მთავარი ცვლილებები

#### 1. არჩევნებში ელექტრონული საშუალებების დანერგვა

##### *ცვლილებების აღწერა*

მიღებული ცვლილებების თანახმად, საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა რეგისტრაციის, ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურები განხორციელდება ელექტრონული საშუალებებით.

ცვლილებებით განსაზღვრულია შემდეგი საკითხები:

- იმ უბანზე, სადაც არჩევნები ელექტრონული საშუალებებით გაიმართება:
  - ამომრჩეველთა რაოდენობა შეიძლება იყოს 3000-მდე;<sup>3</sup>
  - არ გამოიყენება საკონტროლო ფურცელი;
  - შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთზე მეტი ძირითადი საარჩევნო ყუთი და ბიულეტენების ელექტრონული მთვლეელი;
  - ელექტრონული მთვლელის მიერ ამობეჭდილ კენჭისყრის შედეგების ამონაწერს ექნება წინასწარი შედეგების ფუნქცია.
- იმ უბნებზე, სადაც არ იქნება განთავსებული ელექტრონული მთვლეელი, დათვლის პროცესში გაციფრულდება ყველა საარჩევნო ბიულეტენი და განთავსდება ინტერნეტსივრცეში.
- საარჩევნო უბნების ოდენობა, სადაც არჩევნები ელექტრონული საშუალებებით ჩატარდება, უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ მან ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა არანაკლებ 70% მოიცვას.

გარდა ამისა, ცვლილებების თანახმად, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა რეგისტრაციის, ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურები ცესკოს დადგენილებით განისაზღვრება, კერძოდ, უნდა გაიწეროს: საარჩევნო უბნების ჩამონათვალი, სადაც არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდება; ის კონკრეტული საშუალებები, პროცედურები და წესი, რითაც უნდა განხორციელდეს უბანზე მისული ამომრჩევლების რეგისტრაცია, ხმის მიცემა, შედეგების დათვლა და შემაჯამებელი ოქმების შედგენა.

<sup>3</sup> ძველი რეგულაციით, ჩვეულებრივ უბანზე ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობა 1500 იყო, ხოლო სპეციალურ უბანზე – 2000.

## შეფასება

კენჭისყრის დღის პროცედურების გამარტივებისა და დარღვევების პრევენციის, ასევე, ამ დარღვევებში ადამიანური ფაქტორის მინიმალიზების მიზნით, საარჩევნო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ზოგადად მისასალმებელია. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ტექნოლოგიებმა მაქსიმალურად უზრუნველყოს არა მხოლოდ საარჩევნო პროცედურების გამარტივება, არამედ ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დაცვა და არჩევნების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ტექნოლოგიების გამოყენება, დაინტერესებული მხარეებისთვის, არ გამორიცხავდეს შედეგების მატერიალურად გადამოწმების შესაძლებლობას.

მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ზოგადად აწესრიგებს ელექტრონული ტექნოლოგიების საარჩევნო პროცესში გამოყენების წესს, ხოლო სხვა არსებითი საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის რამდენ და რომელ უბანში, როგორი პროცედურებით, წესით და საშუალებებით უნდა წარიმართოს პროცესები, კანონმდებელი მთლიანად ცესკოს ანდობს. აქედან გამომდინარე, კანონი არსებითი კრიტერიუმების დადგენის გარეშე, ფაქტობრივად, **შეუზღუდავ უფლებამოსილებას ანიჭებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.**

კანონპროექტის პირველადი ვერსიისგან განსხვავებით, მიღებულმა კანონმა უფრო დაავიწროვა ცესკოს დისკრეცია იმ უბნების შერჩევისას, სადაც არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით უნდა ჩატარდეს. კერძოდ, საარჩევნო კოდექსმა დაადგინა ზოგიერთ ისეთი საარჩევნო უბანი, სადაც არჩევნები აუცილებლად ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება,<sup>4</sup> ამასთან, ჩამოთვალა სპეციფიკური უბნები, სადაც ელექტრონული ტექნოლოგიები არ იქნება გამოყენებული.<sup>5</sup>

ცხადია, რომ საარჩევნო ელექტრონული პროცედურების ყველა ტექნიკური დეტალის კანონით მოწესრიგება გამართლებული ვერ იქნება, თუმცა, პრობლემურია კანონის ზედმეტად ზოგადი ჩანაწერები და თითქმის ყველა არსებითი საკითხის მოწესრიგების ცესკოს დისკრეციაში გადაცემა. მაგალითად, სრულიად **ბუნდოვანია, თუ რა საშუალებით მოხდება საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ელექტრონული რეგისტრაცია.** ასეთი კატეგორიის საკითხები წარმოადგენს არა ტექნიკურ დეტალებს, არამედ არსებით, პრინციპულ გარემოებებს, რომლებიც კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს.

ამასთან, კანონმდებლობა გარკვეულწილად უნდა მოიცავდეს ახალი ელექტრონული საშუალების გამოყენების გეგმას, ამომრჩევლის ეფექტიანი განათლებითა და საარჩევნო ადმინისტრაციისთვის ტრენინგების ჩატარებით, ასევე, ყველა იმ მექანიზმის შექმნითა და განხორციელებით, რომლებიც უზრუნველყოფს სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას. ამ დეტალების საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობაზე უთითებდა ვენეციის კომისიისა და

<sup>4</sup> თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ყველა საარჩევნო უბანი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ტერიტორიაზე არსებული ყველა საარჩევნო უბანი.

<sup>5</sup> სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბანში; გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბანში; მწვანე მისადგომ ადგილას შექმნილ საარჩევნო უბანში.



ეუთო/ოდირის დასკვნაც.<sup>6</sup> მიუხედავად ამისა, მიღებული ცვლილებებით ეს მოსაზრებები, ფაქტობრივად, არ იქნა გათვალისწინებული.

საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობის 3000-მდე გაზრდის პირობებში, საყურადღებოა, ერთი მხრივ, რამდენად მოახერხებენ საოლქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო უბნების შესაბამისი ფართობით უზრუნველყოფას და მეორე მხრივ, რამდენად მოახერხებენ საუბნო საარჩევნო კომისიები ამ რაოდენობის ამომრჩევლის მნიშვნელოვანი შეფერხების გარეშე მომსახურებას, იმ ფონზე, რომ ელექტრონული საშუალებების დანერგვა ხმის მიცემის პროცედურის ხანგრძლივობას მნიშვნელოვნად ვერ შეამცირებს.

ამ საკითხზე ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაცია იყო, რომ შუალედური პერიოდის განმავლობაში მაინც, ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობა იმ უბნებზე, სადაც ელექტრონული საშუალებები გამოიყენება, იგივე დარჩეს ან მნიშვნელოვნად არ აღემატებოდეს სხვა უბნებისათვის განსაზღვრულ ამომრჩეველთა მაქსიმალურ რაოდენობას.<sup>7</sup> **კანონმა ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაცია ამ ნაწილშიც არ გაითვალისწინა და კანონპროექტის პირველადი ვერსიით ჩამოყალიბებული ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობა უცვლელად დატოვა.**

მიღებული ცვლილებებით, იმ უბნებზე, სადაც არ იქნება გამოყენებული ელექტრონული საშუალებები, ხმის დათვლის დროს საარჩევნო ყუთში არსებული ყველა ბიულეტენი უნდა გაციფრულდეს და გამოქვეყნდეს. ეს გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, ზრდის ბიულეტენების დათვლის პროცესის გამჭვირვალობას, განსაკუთრებით კომისიის მიერ ბიულეტენების გაბათილებაზე საზოგადოებრივ კონტროლს, თუმცა მეორე მხრივ, შესაძლოა, გაამარტივოს ამომრჩეველზე ზეწოლა და მისი ნების კონტროლი.<sup>8</sup>

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მიერ გაცემული რეკომენდაციით, კენჭისყრის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისას კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს შემოწმებისა და ხელახალი დათვლის პროცედურული ნაბიჯები.<sup>9</sup> კანონპროექტის პირველადი ვერსიისგან განსხვავებით, მიღებულ კანონში ამ რეკომენდაციის ნაწილობრივ ამსახველი ჩანაწერი გაჩნდა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული არჩევნების/კენჭისყრის აუდიტის პროცედურის შესახებ.

ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციებთან ერთად, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის დასკვნით, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების დანერგვის ნაწილში კანონმდებლობით უნდა განსაზღვრულიყო კენჭისყრის ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ფარგლები დამკვირვებლების, კანდიდატებისა და პოლიტიკურ პარტიებისთვის; ამასთან, კენჭისყრის ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილებებისათვის საჭირო ადეკვატური

<sup>6</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §15; [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2022\)047-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2022)047-e)

<sup>7</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §39

<sup>8</sup> თუ ამომრჩეველს სხვადასხვა უკანონო გზით აიძულებენ ბიულეტენზე საკუთარი არჩევანის გაკეთებისას თვითიდენტიფიცირება მოახდინოს (ხელმოწერის, ან რაიმე წინასწარ შეთანხმებული ნიშნის დასმის გზით), ზეწოლის მომხდენი პირი ადვილად გადაამოწმებს ამომრჩეველმა შეასრულა თუ არა მისი მოთხოვნა.

<sup>9</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §45

ვადები, მათ შორის შესყიდვებისა და ტესტირების მიზნით; მწარმოებლების, სერტიფიცირების სააგენტოებისა და მომწოდებლების სახელშეკრულებო ვალდებულებები; საჯარო მოხელეებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ანგარიშვალდებულების დებულებები; სისხლის სამართლებრივი სანქციები კენჭისყრის ახალი ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში; კენჭისყრის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით საჩივრების და აპელაციების შედგენის შესაძლებლობა და მონაცემთა დაცვის რეგულაციები.<sup>10</sup> აღნიშნული საკითხები კანონში არ ასახულა.

## 2. საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება

### საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირება

#### *ცვლილებების აღწერა*

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის შემოღებულ იქნა სერტიფიცირება. მანამდე მოქმედი წესის თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი მხოლოდ ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს მოეთხოვებოდათ. ცვლილებების მიღების შემდეგ სერტიფიკატის ფლობა სავალდებულო გახდა საუბნო საარჩევნო კომისიის ე.წ. პროფესიული წევრებისთვისაც (საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეული პირები), თუმცა ეს სერტიფიკატები საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატისგან განსხვავებული იქნება. კერძოდ, შემოღებულ იქნა ორი სახის, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის და საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიკატი. საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებად ითვლებიან: კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი, რომლებსაც სერტიფიკატის მისაღებად დამატებით, უფრო მაღალი დონის კვალიფიკაციის დადასტურება დასჭირდებათ, ვიდრე რიგით წევრებს. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა და ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების ჩატარება, ცესკოს მიერ დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის - ფუნქცია იქნება.

#### *შეფასება*

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების და ხელმძღვანელი პირების კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების შემოღება მისასაღმებელია, ვინაიდან ამ გზით საუბნო საარჩევნო კომისიის მერიტოკრატიული ნიშნით, უფრო მაღალკვალიფიციური წევრებით დაკომპლექტების თეორიულ შანსი იზრდება. თუმცა, წარსული გამოცდილება აჩვენებს, რომ მმართველი პარტია, როგორც წესი, სხვადასხვა გზით, არაფორმალურად [აკონტროლებს](#) ყველა დონის საარჩევნო კომისიებში პროფესიული ნიშნით ასარჩევი წევრების სელექციის პროცესს. აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია, ეს ცვლილება პრაქტიკაში რა გავლენას მოახდენს საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაზე.

<sup>10</sup> კენჭისყრის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §45

გარდა ამისა, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე საუბნო საარჩევნო კომისიების საკმარისი რაოდენობის წევრობის კანდიდატთა სერტიფიცირება, იმის გათვალისწინებით, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებში საჭიროა კომისიის 10,000-ზე მეტი ხელმძღვანელი პირისა და 18,000-ზე მეტი რიგითი წევრის შერჩევა.

ვენეციის კომისია და ეუთო/ოდირი მიესალმნენ საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრებისთვის სერტიფიკატების ფლობის მოთხოვნის შემოღებას და აღნიშნეს, რომ იგი შეესაბამება ეუთო/ოდირის რეკომენდაციებს. თუმცა, მათ ასევე მიუთითეს, რომ მიუხედავად არჩევნების დღის პროცედურების შესახებ ტრენინგების გარკვეული გაუმჯობესებისა, მათი ძველი რეკომენდაციები საუბნო კომისიის წევრთა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით კვლავაც ძალაშია, განსაკუთრებით, ხმების დათვლისა და შემაჯამებელ ოქმების შედგენის პროცედურებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის აზრით, სერტიფიცირების მოთხოვნა საუბნო საარჩევნო კომისიების პარტიების მიერ დანიშნული წევრებზეც უნდა გავრცელდებოდა.<sup>11</sup> თუმცა, ოპოზიციური პარტიების თხოვნის შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება კანონში არ შევიდა, ვინაიდან პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი პატარა პარტიები, აღნიშნული მოთხოვნის დაწესების შემთხვევაში, ვერ მოახერხებდნენ წევრების დანიშვნას საუბნო საარჩევნო კომისიების მნიშვნელოვან ნაწილში.

## **კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების კონკურსების გამიჯვნა**

### ***ცვლილებების აღწერა***

ცვლილებების მიღებამდე მოქმედი რედაქციით, საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრების შესარჩევად ერთიანი კონკურსი ცხადდებოდა და, შესაბამისად, ერთგვაროვანი იყო მათთვის წაყენებული მოთხოვნებიც. კომისიის დაკომპლექტების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისია საკუთარი რიგებიდან<sup>12</sup> თავად ირჩევდა კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს. საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა და ხელმძღვანელ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსხვავებული გახდა. აქედან გამომდინარე, საოლქო საარჩევნო კომისიები ცალ-ცალკე კონკურსით აირჩევენ საუბნო საარჩევნო კომისიების, როგორც რიგით პროფესიულ წევრებს, ისე ხელმძღვანელ პირებს.

### ***შეფასება***

საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პრაქტიკიდან გამომდინარე, მხოლოდ კომისიების თანამდებობის პირთა კონკურსით შერჩევა არსებითი დადებითი ეფექტის მომტანი, სავარაუდოდ, ვერ იქნება. მაგალითად, უფრო მნიშვნელოვანია, შეიცვალოს პრობლემური რეგულაცია,

<sup>11</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §30

<sup>12</sup> აირჩეოდნენ მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთაგან (ე.წ. პროფესიული ნიშნით არჩეულ წევრთაგან).

რომელიც საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა რეგისტრატორის ფუნქციის შესრულებას პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრებს უკრძალავს.

ვენეციის კომისია და ეუთო/ოდირი მიესალმნენ საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე პროფესიული სტანდარტის ამაღლების მცდელობას, თუმცა მიღებული ცვლილებები არასაკმარისად მიიჩნიეს. მათი აზრით, საჭიროა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევის კრიტერიუმების დახვეწა და თავად შერჩევის პროცესის გაუმჯობესება, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მათ შორის, წევრობისათვის განაცხადების წარდგენისა და განხილვის ვადების გაზრდა.

## **საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა თანამდებობრივი შეუთავსებლობა**

### ***ცვლილებების აღწერა***

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებით გაფართოვდა ე.წ. პროფესიული ნიშნით არჩეულ კომისიის წევრთა თანამდებობრივი შეუთავსებლობის საფუძვლები. კერძოდ, აიკრძალა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად ისეთი პირის არჩევა, რომელიც:

- ბოლო ორი არჩევნების განმავლობაში იყო პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრი, თავად იყრიდა კენჭს ან იყო საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი;
- ბოლოს ჩატარებული არჩევნების წლის დასაწყისის შემდეგ იყო რომელიმე პარტიის შემომწირველი.

### ***შეფასება***

დადებით ცვლილებად უნდა ჩაითვალოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისათვის თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევების ჩამონათვალის გაფართოება, რითაც გამოირიცხება ახლო წარსულში პარტიული აფილიაციის მქონე და პარტიის შემომწირველი პირების საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად არჩევა.

ეს ცვლილებები ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმაც დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ მათი რეკომენდაცია გარკვეულწილად გათვალისწინებულ იქნა.<sup>13</sup> საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა

### ***ცვლილებების აღწერა***

კანონის ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციით, საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილების ვადა იწყებოდა პირველი სხდომის გამართვის დღეს, რომელიც უნდა ჩატარებულიყო კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იწვევდა. მიღებული ცვლილების შემდეგ კი, საუბნო საარჩევნო კომისიისა და მისი წევრების უფლებამოსილება დაიწყება არჩევნებამდე ზუსტად 30-ე დღიდან.

<sup>13</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §29

## **შეფასება**

მიუხედავად იმისა, რომ საუბნო საარჩევნო კომისია მუშაობას არჩევნებამდე 30 დღით ადრე დაიწყო, კომისიის წევრთა შერჩევის ბოლო ვადა უცვლელი დარჩა და კვლავ არჩევნებამდე არაუგვიანეს 46 დღე იქნება. იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნები 60 დღით ადრე ინიშნება, საოლქო საარჩევნო კომისიებს საუბნო საარჩევნო კომისიის 30,000-მდე წევრის შესარჩევი კონკურსის ჩასატარებლად და წევრთა შესარჩევად, კვლავ მხოლოდ 14 დღე დარჩებათ (პრაქტიკაში კიდევ უფრო ნაკლები).

ამ ვადაში ასეთი მასშტაბის კონკურსის შინაარსობრივად ჩატარების შეუძლებლობის შესახებ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები მუდმივად მიუთითებდნენ. ამდენად, ცვლილებების შემდეგაც, საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიულ წევრთა შესარჩევი კონკურსი, ფაქტობრივად, კვლავაც ფორმალურად დარჩება.

ამასთან, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიები კომპლექტდება არჩევნებამდე არაუგვიანეს 46-ე დღისა, ხოლო წევრები უფლებამოსილების განხორციელებას იწყებენ არჩევნებამდე 30 დღით ადრე, შესაბამისად, იარსებებს 16 დღიანი შუალედი, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის არჩეულ წევრზე არ გავრცელდება რიგი აკრძალვები, მათ შორის წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შესახებ. მიზანშეწონილია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიმართ საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შეზღუდვები გავრცელდეს მათი არჩევის დღიდან.

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის შეფასებით, მართალია მიღებული ცვლილება აწესრიგებს საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილების დაწყების ვადებს, თუმცა იგი არ ხსნის არსებულ რისკს, რომ გარკვეული კომისიები შედარებით გვიან შეიკრიბებიან. შესაბამისად, ამ ორგანიზაციებმა გასცეს რეკომენდაცია, ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის გამართვის თარიღად, კანონმა დაადგინოს არჩევნებამდე 30-ე დღე.<sup>14</sup> ეს რეკომენდაცია კანონმდებლის მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

## **3. სხვა ცვლილებები**

### **დისბალანსი შემაჯამებელ ოქმებში**

#### **ცვლილებების აღწერა**

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებით განისაზღვრა საარჩევნო უბანში ხმების დათვლის დროს შემაჯამებელ ოქმში ე.წ. დისბალანსის გამოვლენისას ხმების ხელახალი გადათვლის საფუძვლები. კერძოდ, საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებული იქნება, გახსნას შესაბამისი დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები როდესაც:

---

<sup>14</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §33

- ბათილი და ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამური ოდენობა 5-ით ან მეტით აღემატება არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას (ე.წ. „პლუს დისბალანსი“),
- ბათილი და ყველა სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამური ოდენობა 10-ით ან მეტით ნაკლებია არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე (ე.წ. „მინუს დისბალანსი“).

## შეფასება

კანონში შემავალ მუხვებში დისბალანსის არსებობის შემთხვევაში დოკუმენტაციის გახსნის და ხმების გადათვლის იმპერატიული ვალდებულების გაჩენა მისასაღმებელია, თუმცა, საარჩევნო პროცესისადმი ნდობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა სავალდებულო წესით გადათვალონ ყველა იმ საუბნო საარჩევნო კომისიის დოკუმენტაცია, რომელთა შედეგების შემავალ მუხვებში სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების ჯამი თუნდაც ერთით მეტია არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების საერთო რაოდენობაზე. ამ წესის დაცვა მნიშვნელოვანია, რადგან საარჩევნო ყუთში ზედმეტი ბიულეტენის აღმოჩენა, ანუ მეტობით დისბალანსი, ყოველთვის მიუთითებს საუბნო კომისიის მიერ კენჭისყრის პროცედურების დარღვევაზე, რასაც შესაბამისი ახსნა და პასუხის გაცემა სჭირდება.

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის შეფასებით, ეს ცვლილება შეესაბამება მათ მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციას და ემსახურება, როგორც არჩევნების შედეგებისადმი სანდოობის გაზრდას, ისე საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.<sup>15</sup>

როგორც აღინიშნა, მიღებული ცვლილებებით, საოლქო საარჩევნო კომისიებმა, ნაკლებობით დისბალანსის შემთხვევაში, თუ ბათილი და ყველა სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა 10-ით ან მეტით ნაკლებია საარჩევნო ყუთში არსებულ ბიულეტენებზე, სავალდებულო წესით უნდა გადათვალონ საუბნო საარჩევნო კომისიის დოკუმენტაცია. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ 10-მდე ნაკლებობის შემთხვევაშიც, განისაზღვროს კრიტერიუმები, რაც გადათვლის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ხმების გადათვლის პროცესზე სრულფასოვანი დაკვირვება, ასევე, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს უბნების შედეგების თანმიმდევრობით გადათვლის წესი, პარალელურ რეჟიმში გადათვლის ნაცვლად. ამასთან, შედეგების სრულყოფილად შემოწმების მიზნით, აუცილებელია, გადაითვალოს შესაბამისი უბნის ყველა ძირითადი მონაცემი: ამომრჩეველთა ხელმოწერები ყველა სახის სიაში, ნამდვილი და ბათილი ბიულეტენები.

გარდა ამისა, მოქმედი წესის - თითოეულ ოლქში 5 საარჩევნო უბნის გადათვლის ნაცვლად, უმჯობესია, გამოვლინდეს და გადაითვალოს თითოეულ ოლქში არსებული უბნების 10%. საარჩევნო ოლქების განსხვავებული ზომის გათვალისწინებით, ასეთი მიდგომა მეტად

<sup>15</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §51

წარმომადგენლობითი და სამართლიანი იქნება, განსაკუთრებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შემთხვევაში.

## საარჩევნო დავებისა და სხვა პროცედურების ვადები

### *ცვლილებების აღწერა*

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებით 2 დღიდან 3-დღემდე გაიზარდა კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული დარღვევის გასაჩივრების ვადა. აგრეთვე 2 დღიდან 4 დღემდე გაიზარდა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული საჩივრების განხილვის ვადა. ვადების გაზრდამ ერთი დღით გაახანგრძლივა არჩევნების შეჯამების ვადებიც.<sup>16</sup> ამასთან, დაზუსტდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ან დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა; კერძოდ, ცვლილებების თანახმად, აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი განცხადების/საჩივრის წარდგენიდან 12 კალენდარული დღის ვადაში. გარდა ამისა, განისაზღვრა გაციფრულებული ბიულეტენების ინტერნეტსივრცეში ატვირთვისთვის 2 დღიანი ვადა.

### *შეფასება*

დადებითად უნდა შეფასდეს გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის ვადების გაზრდა. ამასთან, მისასალმებელია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ან დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა საპარლამენტო მოსმენებს შორის პერიოდში გადაიხედა. კერძოდ, კანონპროექტის პირველად ვერსიაში განსაზღვრული იყო 15 დღიანი ვადა, რაც საბოლოო რედაქციაში 12 დღემდე შემცირდა. ვადის შემცირების რეკომენდაცია ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირს ჰქონდათ. გარდა ამისა, გაციფრულებული ბიულეტენების ინტერნეტსივრცეში ატვირთვისთვის კანონპროექტის პირველად ვერსიაში 3 დღიანი ვადა განისაზღვრა, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირს ერთობლივი რეკომენდაციის შესაბამისად აღნიშნული ვადა მოსმენებს შორის პერიოდში 3-დან 2 დღემდე შემცირდა, რაც დაინტერესებულ პირებს დარღვევების აღმოჩენისა და გასაჩივრებისთვის მეტ დროს აძლევს.

ამ ცვლილებების მიუხედავად, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირს ერთობლივი მოსაზრებით, რეკომენდებულია საჩივრებისა და აპელაციების წარდგენისა და განხილვის ვადების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და მეტად გაზრდა.<sup>17</sup> მაგალითად, რეკომენდებულ ვადაზე მცირეა საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებზე პირველი ინსტანციის სასამართლოში საჩივრის შესატანი და განსახილველი ორ დღიანი ვადა<sup>18</sup> ამ კონკრეტულ ნაწილში ორდღიანი ვადის გაზრდაზე რეკომენდაცია კანონმდებელმა არ გაითვალისწინა. ზოგადად

<sup>16</sup> საოლქო კომისიები არჩევნებს შეაჯამებენ კენჭისყრის დღიდან არაუმეტეს მე-15 დღეს ნაცვლად 14-ისა, ხოლო ცესკო 26-ე დღეს ნაცვლად 25-ისა.

<sup>17</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირს ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §16

<sup>18</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირს ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §62

ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის შესახებ კოდექსის მიხედვით, ყოველი პირველი ინსტანციის შემთხვევაში გასაჩივრების ვადა უნდა იყოს სამიდან ხუთ დღემდე.<sup>19</sup>

## **საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე პასუხისმგებლობის გამკაცრება**

### ***ცვლილებების აღწერა***

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებით გაიზარდა ჯარიმა საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისთვის.<sup>20</sup> ნაცვლად ფიქსირებული 2000 ლარისა, ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა დისკრეცია, გამოიყენოს ჯარიმა 2000-დან 4000 ლარამდე.

### ***შეფასება***

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობის გაზრდა დადებითად შეიძლება შეფასდეს, თუმცა მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ პრაქტიკაში პრობლემას წარმოადგენს არა ჯარიმის ოდენობა, არამედ დარღვევაზე სათანადო რეაგირების არარსებობა. საარჩევნო ადმინისტრაცია მეტწილად არ იღებს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილებას, ასეთი სამართალდარღვევის არსებობის შემთხვევაში.

ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა ჯარიმის ზრდა მათ მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციებთან თანხვედრ ცვლილებად შეაფასეს, თუმცა მათი დასკვნის თანახმად, ის არ შეიძლება არსებით ცვლილებად ჩაითვალოს. ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღმოსაფხვრელად ვენეციის კომისია და ეუთო/ოდირი კვლავ მოუწოდებს ხელისუფლებას კომპლექსური და ყოვლისმომცველი რეფორმის გატარებისკენ, რომელიც მაღალი რანგის თანამდებობის პირების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შეზღუდვას და სამუშაო საათებში საჯარო მოხელეების მხრიდან საარჩევნო აგიტაციის (მათ შორის სოციალურ ქსელებში) ეფექტიან აკრძალვას გაითვალისწინებს.<sup>21</sup>

## **გადასატანი ყუთი**

### ***ცვლილებების აღწერა***

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებით მარკირების გავლა სავალდებულო გახდა გადასატანი ყუთით ხმის მიცემის დროსაც. კანონის ძველი რედაქციის მიხედვით, მარკირების პროცედურა მხოლოდ საარჩევნო უბანში ხმის მიცემისას გამოიყენებოდა.

---

<sup>19</sup> European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Code of Good Practice in Election Matters, Guidelines and Explanatory Report, Venice, 18-19 October, 2002, II.3.3.g, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2UjEc7D>

<sup>20</sup> იგულისხმება საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

<sup>21</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §58; მანამდე იგივე რეკომენდაცია ასახული იყო 2022 წლის 5 ივლისის დასკვნაში (CDL-AD(2021)022), იხ.: დეტალურად: [https://www.osce.org/files/f/documents/7/f/485072\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/7/f/485072_0.pdf) §54.



## **შეფასება**

ეს ცვლილება მისასაღმებელია. ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მოსაზრებითაც, აღნიშნული ზომები აძლიერებს დაცვის მექანიზმებს მრავალჯერადი ხმის მიცემის წინააღმდეგ.<sup>22</sup>

## **პარტიების ხარჯების შეზღუდვა**

### **ცვლილებების აღწერა**

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით, რომელიც 2023 წლის 2 სექტემბრიდან ამოქმედდება, პოლიტიკური პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.05%-ს.

ძველი რედაქციით, ეს ზღვარი მშპ-ის 0.1%-ს შეადგენდა.

## **შეფასება**

პარტიების ხარჯებზე დაწესებული წლიური ზედა ზღვრის შემცირება დადებით ნაბიჯად უნდა შეფასდეს, თუმცა მისი ეფექტიანობა, შესაძლოა დიდი მანძილზე არ იყოს. მაგალითად, 2021 წლისთვის თითოეული პარტიის ხარჯისთვის დადგენილი ზედა ზღვარი 49 მილიონი ლარი გამოდიოდა, მაშინ როდესაც ყველა პარტიის ჯამური ხარჯიც კი არ აღემატებოდა ამ თანხას, შესაბამისად, ეს ზედა ზღვარი არარელევანტური იყო, ვერ ასრულებდა დასახულ მიზანს და უდავოდ, საჭიროებდა შემცირებას. თუმცა, წარსულში პოლიტიკური პარტიების მიერ გაწეული ხარჯების ოდენობების გათვალისწინებით, ზედა ზღვრის განახევრებაც კი ვერ მოაგვარებს მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის არსებულ ფინანსურ უთანასწორობას და ეს საკითხი უფრო კომპლექსურ რეფორმას საჭიროებს.

ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა ერთობლივ შეფასებაში აღნიშნეს, რომ კვლავ არ იქნა გათვალისწინებული ეუთო/ოდირის რეკომენდაცია, რომელიც საარჩევნო კამპანიისთვის გაღებული შემოწირულების მაღალი ზღვრების საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას გულისხმობდა.<sup>23</sup>

## **მერად და საკრებულოს წევრად არჩევის ცხოვრების ცენზის შემცირება**

საარჩევნო კოდექსის ძველი რედაქციით, ქალაქის მერობის და საკრებულოების წევრობის კანდიდატებს უნდა დაედასტურებინათ ქვეყანაში 5-წლიანი ცხოვრების ფაქტი, რაც მიღებული ცვლილების შემდეგ 6 თვემდე შემცირდა.

<sup>22</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §63

<sup>23</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §64

## შეფასება

ეს ცვლილება მისასაღმებელია, რადგან აქამდეც ბუნდოვანი იყო ამ შეზღუდვის მიზნის მიღწევის მექანიზმები. გარდა ამისა, ამ რეგულაციის ლიბერალიზაცია ზრდის პასიური საარჩევნო უფლების გამოყენების შესაძლებლობებს.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის თავდაპირველ ვერსიაში ცენზის 1 წლამდე შემცირება იყო დაგეგმილი. მას შემდეგ რაც ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა კანონპროექტის შესახებ ერთობლივ დასკვნაში საერთაშორისო კარგ პრაქტიკაზე მიუთითეს, რომელიც ცენზის 6 თვემდე შემცირებას ან საერთოდ გაუქმებას გულისხმობს,<sup>24</sup> პარლამენტმა მესამე მოსმენისთვის ეს ვადა 6 თვემდე შეამცირა.

გარდა ამისა, ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა საერთო-ეროვნული არჩევნებისთვის მოქმედ ბინადრობის ცენზის გაუმართლებლად დიდ ვადებზეც (პარლამენტის წევრობის კანდიდატისთვის 10 წელი, პრეზიდენტობის კანდიდატისთვის – 15) მიუთითეს და პარლამენტს მისი გაუქმებისკენ მოუწოდეს.<sup>25</sup> მიუხედავად ამისა, ეს რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული.

---

<sup>24</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §35.

<sup>25</sup> იქვე.

## IV. ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც არ ასახულა კანონებში

როგორც უკვე აღინიშნა, საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტის იურიდიულ კომიტეტთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა, რომლის მიზანიც იყო საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის გადასინჯვა ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის დასკვნების შესაბამისად. სამუშაო ჯგუფი მიიჩნევდა, რომ ამით შეასრულებდა ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის დასკვნაში ასახულ 12 პირობათაგან ერთ-ერთს, რომელიც საარჩევნო რეფორმას ეხება.<sup>26</sup>

მიუხედავად დეკლარირებული განზრახვისა, რომ კანონპროექტის მიზანი ზემოაღნიშნული ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულება იყო, არსებობს რიგი მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისა, რომლებიც არ ასახულა მიღებულ ცვლილებებში.

მაგალითად, 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების (ე.წ. „შარლ მიშელის დოკუმენტი“) მიხედვით, იმავე წლის ივნისში პარლამენტმა მიიღო ცესკოს დაკომპლექტების ახალი წესი (ცესკოს პროფესიული წევრის/თავმჯდომარის პარლამენტის 2/3-ის (ორი მცდელობა), 3/5-ის ან უბრალო უმრავლესობით დამტკიცება კენჭისყრებს შორის 4 კვირიანი შუალედებით), თუმცა, იქვე, 2021 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის პარლამენტმა განსაზღვრა დროებითი წესი, რომლითაც 4 კვირიანი შუალედი შეამცირა 1 კვირამდე.<sup>27</sup> მიუხედავად იმისა, რომ წესი დროებითი და ერთჯერადი იყო ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა ერთობლივ დასკვნაში გააკრიტიკეს ეს გამონაკლისი და პარლამენტს მისი გადახედვისკენ მოუწოდეს.<sup>28</sup> თუმცა, იმავე წლის დეკემბერში პარლამენტმა არათუ გაითვალისწინა ეს რეკომენდაცია, არამედ დროებითი წესი კიდევ უფრო გააუარესა (ამოიღო ოთხიდან ორი კენჭისყრა: 2/3-ით ხელახლა კენჭისყრა და 3/5-ით კენჭისყრა<sup>29</sup>) და ის მუდმივ წესად აქცია. ამრიგად, შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირს ცესკოს დაკომპლექტების მარეგულირებელ მუხლში დეკემბერში შესული ცვლილება არ შეუფასებია, თუმცა, როგორ აღინიშნა, უფრო მაღალი სტანდარტის მქონე დროებითი მუხლი გააკრიტიკა, რაც ცხადყოფს იმას, რომ მოქმედი ნორმა ცალსახად არღვევს ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის სტანდარტებს.

ამასთანავე, 2021 წლის დეკემბერში საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, თუ „ცესკოს მოქმედი წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ცესკოს ახალი წევრი არ აირჩა, ცესკოს მოქმედი წევრის უფლებამოსილების ვადა გრძელდება ცესკოს ახალი წევრის

<sup>26</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, გვ.1, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/306570?>

<sup>27</sup> ვრცლად, იხ.: TI, ISFED - „საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები: შეფასება და რეკომენდაციები“, [https://www.transparency.ge/ge/blog/saarchevno-kodeksshi-shefashvba-da-rekomendaciebi#\\_ftn6](https://www.transparency.ge/ge/blog/saarchevno-kodeksshi-shefashvba-da-rekomendaciebi#_ftn6)

<sup>28</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-PI(2021)011, 18.06.2021, §21, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2021\)011-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2021)011-e)

<sup>29</sup> იხ.: პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-7 პუნქტი, <https://matsne.gov.ge/document/view/4401423?publication=38>

არჩევამდე.<sup>30</sup> მას შემდეგ რაც ეს ცვლილება შევიდა კანონში, არც ვენეციის კომისიასა და არც ეუთო/ოდირს მისი შეფასების საშუალება არ ჰქონიათ და შესაბამისად, არ არსებობს ამ მუხლთან დაკავშირებული მათი რეკომენდაცია. აღნიშნულმა ცვლილებამ არანაირი სტიმული აღარ დაუტოვა მმართველ პარტიას, რომ მან სცადოს, ცესკოს თავმჯდომარის/პროფესიული წევრის კანდიდატურაზე კონსენსუსს მიაღწიოს ოპოზიციურ პარტიებთან, რადგან განუსაზღვრელი ვადით შეიძლება გაგრძელდეს ლეგიტიმაციას მოკლებული ყოფილი თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილება. ეს ცვლილება საბოლოოდ ძირს უთხრის ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი რეკომენდაციით ჩამოყალიბებულ ცესკოს დაკომპლექტების პრინციპს.

ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა ზემოხსენებულ 2021 წლის ერთობლივ დასკვნაში, ასევე, გააკრიტიკეს<sup>31</sup> საარჩევნო კოდექსით დადგენილი დროებით წესი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მუდმივ ნორმას<sup>32</sup> და რომლითაც ნაწილდებოდა პარტიებს შორის საარჩევნო ადმინისტრაციებში წევრის დანიშვნის უფლება. დროებითი წესის თანახმად, თუ 1% გადალახული პარტიების რიცხვი 9-ზე მეტია, საარჩევნო კომისიებში ის პარტია ნიშნავს წევრს, რომელსაც მეტი საბიუჯეტო დაფინანსება აქვს და მეორე, თუ 2021 წლის 19 აპრილის მდგომარეობით ბარიერგადალახული პარტიის ყველა წევრმა დატოვა პარტია და ყველა ერთად გახდა სხვა პარტიის წევრი, ცესკოს 1 წევრის დანიშვნის უფლება ამ პარტიაზე გადადის. ამ დროებითი წესების საფუძველზე ამ მომენტისთვის ცესკოს წევრებად თავიანთი წარმომადგენლები დანიშნული ჰყავთ პარტიებს „საქართველოს ევროპული დემოკრატები“ და „ევროპელი სოციალისტები“, როცა მათ მაგივრად წევრები უნდა დაენიშნა „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიასა“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“.<sup>33</sup>

გარდა ამისა, 2021 წლის ივნისში ორი ცვლილება შევიდა ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, რომლის შედეგადაც:

- პარტია კარგავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლებას, თუ ამ პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა ნახევარს ან ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება;
- პარტია მომდევნო 6 თვის საბიუჯეტო დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ მისი წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი პარლამენტის წინასესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება პარლამენტის პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს.

<sup>30</sup> საარჩევნო კოდექსის მე-12 მუხლის 11<sup>1</sup> პუნქტი,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=77>

<sup>31</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2021)026, 5.07.2021, §26,

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2021\)026-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2021)026-e)

<sup>32</sup> იგულისხმება საარჩევნო კოდექსის მე-196<sup>1</sup>-ის მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები, რომელიც ეწინააღმდეგება მე-13 მუხლის 1 პუნქტს.

<sup>33</sup> ვრცლად იხ.: TI, ISFED - „საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები: შეფასება და რეკომენდაციები“, 1.3.1, [https://www.transparency.ge/ge/blog/sarchevno-kodeksshi-shesuli-cvilebebi-shepaseba-da-rekomendaciebi#\\_ftn6](https://www.transparency.ge/ge/blog/sarchevno-kodeksshi-shesuli-cvilebebi-shepaseba-da-rekomendaciebi#_ftn6)

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2021 წლის მარტის დასკვნაში ორივე ცვლილება გაკრიტიკებული იყო ჯერ კიდევ კანონპროექტად არსებობის ეტაპზე.<sup>34</sup> ამ ორგანიზაციებმა შემოთავაზებული რეგულაციები არაპროპორციულად მიიჩნიეს და რეკომენდაციას უწევდნენ მუხლების არსებითად გადახედვას ან ამოღებას. მიუხედავად ამ რეკომენდაციისა, იმავე წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა კანონი მიიღო, ხოლო ახლად მიღებული ცვლილებები ამ ნორმას საერთოდ არ შეეხება.

ამასთანავე, 2022 წლის 19 დეკემბრის დასკვნაში ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა თავიდანვე ხაზი გაუსვეს იმას, რომ პირველი მოსმენით წარმოდგენილ კანონპროექტში არ იყო ასახული რიგი რეკომენდაციებისა, რომელიც წარმოდგენილი იყო მათ ადრინდელ დასკვნებსა და საარჩევნო სადამკვირვებლო ანგარიშებში. ეს რეკომენდაციები ეხებოდა ისეთ საკითხებს როგორცაა:

- საარჩევნო ოლქების დელიმიტაცია;
- ბინადრობის ცენზის მოთხოვნები საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისათვის და სხვა კრიტერიუმები ამომრჩეველთა და კანდიდატთა დასაშვებობაზე;
- დამატებით ასპექტები საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებასთან მიმართებით, განსაკუთრებით პროფესიული წევრების არჩევა და ამ პროცესის გამჭვირვალობა;
- საკითხები თანამდებობის ბოროტად გამოყენების თაობაზე საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის;
- ზედა ზღვარი საარჩევნო შემოწირულებებისათვის;
- საარჩევნო კამპანიების დაფინანსების რეგულირება და ზედამხედველობა;
- მედიაში საარჩევნო კამპანიების რეგულირება;
- საკანონმდებლო ჩარხო საარჩევნო დავების და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის უზრუნველსაყოფად;
- ხმების გადათვლა და შედეგების გაუქმება;
- ამომრჩეველთა დაშინების პრევენციისათვის მიმართული ზომები.
- პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა<sup>35</sup>

<sup>34</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2021)008, 20.03.2021, §§36-65, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2021\)008-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2021)008-e)

<sup>35</sup> ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივი მოსაზრება, CDL-AD(2022)047, 19.12.2022, §13.

## V. დასკვნა და ძირითადი რეკომენდაციები

მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, როგორც ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების, ისე ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მიერ იდენტიფიცირებულ რიგ პრობლემებს პასუხობს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, ამ ცვლილებებით სრულად არ იქნა გათვალისწინებული ყველა არსებითი ხასიათის რეკომენდაცია, მათ შორის არ აისახა იმ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი, რომელიც ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა 2022 წლის დეკემბერში წარმოადგინეს. ამ ორგანიზაციების ერთობლივი შეფასებით, განხორციელებული რეფორმა საარჩევნო კოდექსის ყოვლისმომცველ ანალიზს არ ეფუძნება და მხოლოდ ცალკეულ საკითხებს შეეხება.

გარკვეული დათქმებით დადებითად შეიძლება შეფასდეს ისეთი ცვლილებები როგორცაა: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის სავალდებულო სერტიფიცირების შემოღება; საჩივრების/სარჩელების წარდგენისა და განხილვის ზოგიერთი ვადის გახანგრძლივება; გადასატანი ყუთით ხმის მიცემის პროცესში ამომრჩევლის მარკირების შემოღება; პარტიების წლიური ხარჯებზე დაწესებული ზედა ზღვრის განახევრება; ადგილობრივ არჩევნებზე კანდიდატებისთვის ბინადრობის ცენზის შემცირება; ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისთვის დაწესებული ჯარიმის ოდენობის გაზრდა; პროფესიული ნიშნით ასარჩევი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა თანამდებობრივი შეუთავსებლობის საფუძვლების გაფართოება; შედეგების შემაჯამებელ ოქმში დისბალანსის არსებობის შემთხვევაში დოკუმენტაციის გახსნის და ხმების გადათვლის იმპერატიული ვალდებულების გაჩენა. გარდა ამისა, ზოგადად მისასალმებელია საარჩევნო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით რეგულაციები იყოს უფრო ცხადი და ყოვლისმომცველი და რაც შეიძლება ნაკლები საკითხი მიეკუთვნებოდეს ცესკოს დისკრეციას.

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის არსებითი ხასიათის რეკომენდაციებიდან, რომლებიც მიღებულ ცვლილებებში საერთოდ არ ასახულა, აღსანიშნავია ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევისა და უფლებამოსილების გახანგრძლივების ნაკლოვანი რეგულაციები, ასევე, პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების ჩამორთმევის შესაძლებლობა, რომელიც უსამართლოა და საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. ამასთან, არ იქნა გათვალისწინებული განმეორებადი რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება საარჩევნო კომისიების ქვედა დონეზე პროფესიული წევრების არჩევას და ამ პროცესის გამჭვირვალობას. ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა ერთობლივ დასკვნაში ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წარდგენილი პროექტი ვერ პასუხობდა ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებს, როგორცაა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, ამომრჩევლის დაშინება, ხმების გადათვლისა და შედეგების გაბათილების არასაკმარისი კრიტერიუმების არსებობა.

სამომავლოდ, აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მოწოდების შესაბამისად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს ყოვლისმომცველი და ინკლუზიური საარჩევნო რეფორმა, რომელიც დაეფუძნება საარჩევნო კანონმდებლობისა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების სრულ და სიღრმისეულ ანალიზს;

- საარჩევნო რეფორმის დროს მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის როგორც ცალკეულ კანონპროექტებზე დაწერილი დასკვნები, ისე საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების მიერ სხვადასხვა დროს წარმოდგენილი რეკომენდაციები, მათ შორის აუცილებელია:
  - გადაიხედოს ცესკოს დაკომპლექტების მოქმედი წესი და აღდგეს 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციები;
  - გაუქმდეს პოლიტიკური პარტიისთვის საბიუჯეტო დაფინანსების ჩამორთმევის ის უსამართლო წესი, რაც პარლამენტში მისი წევრების გარკვეულ ქმედებებს შეიძლება მოჰყვეს;
  - უფრო დეტალურად გაიწეროს საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები;
  - შეიცვალოს პრობლემური რეგულაცია, რომელიც საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა რეგისტრატორის ფუნქციის შესრულებას პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრებს უკრძალავს;
  - დაიხვეწოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევის კრიტერიუმები და თავად შერჩევის პროცესი, ასევე, უზრუნველყოფილ იქნას პროცესის მეტი გამჭვირვალობა და გაიზარდოს წევრობისათვის განაცხადების წარდგენისა და განხილვის ვადები;
  - დადგინდეს უფრო მეტი და კონკრეტული კრიტერიუმი, თუ რა შემთხვევაში იქნება საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებული გადათვალოს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შეჯამებული შედეგები;
  - განისაზღვროს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო უბნების შედეგების თანმიმდევრობით გადათვლის წესი მათი პარალელურ რეჟიმში გადათვლის ნაცვლად;
  - საჩივრებისა და სარჩელების წარდგენისა და განხილვის ვადები უფრო მეტად გაიზარდოს და დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს;
  - ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღმოსაფხვრელად შემუშავდეს დამატებითი რეგულაციები სამუშაო საათებში საჯარო მოხელეების მხრიდან საარჩევნო აგიტაციის (მათ შორის სოციალურ ქსელებში) შესაზღუდად.